

GEORGIAN INTERPRETATION OF EUROPEAN CULTURAL THEORIES IN THE
NOVELLA *TALAKHI PERANGI* BY INGA BAKHTADZE

ევროპული კულტუროლოგიური თეორიების ქართული ინტერპრეტაცია ინგა
ბახტაძის ნოველაში „თალხი პერანგი“

Guranda Gobiani

Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of the Central University of Europe,
Kutaisi, Tsereteli str. #13, 4600, Georgia,
+995599075460, gurandagobiani@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-4782-2808>

Abstract. This article presents a cultural and literary analysis of the novella *Talakhi Perangi* by Inga Bakhtadze. The aim of the study is to identify European cultural and philosophical ideas within the text and to analyze the specific features of their interpretation in the context of contemporary Georgian prose. The novella is examined as a cultural text in which individual experience and cultural symbolism intersect within a unified artistic system.

The research is based on interpretative and cultural analysis, as well as elements of semiotic textual analysis. The findings demonstrate that the text reflects worldview paradigms characteristic of European philosophical traditions, particularly German idealism, which are creatively transformed and adapted within the framework of local cultural experience. In the novella, the search for spiritual meaning and the awareness of its crisis emerge as forms of both individual and cultural self-reflection.

The analysis shows that *Talakhi Perangi* can be interpreted as a space of cultural self-reflection where the inner experiences of the characters and their environment are represented through a symbolic system of meanings. The study contributes to the cultural interpretation of contemporary Georgian prose and provides a basis for further scholarly investigation of the author's literary works from a cultural perspective.

Keywords: Inga Bakhtadze; *Talakhi Perangi*; cultural analysis; German idealism; cultural symbolism; contemporary Georgian prose.

გურანდა გობიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
 ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. #13, 4600, საქართველო,
 +995599075460, gurandagobiani@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-4782-2808>

აბსტრაქტი. სტატია ეძღვნება ნოველის „თალხი პერანგი“ კულტუროლოგიურ და ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს. კვლევის მიზანია ტექსტში ევროპული კულტუროლოგიური და ფილოსოფიური იდეების გამოვლენა და მათი ინტერპრეტაციის თავისებურებების განსაზღვრა თანამედროვე ქართული პროზის კონტექსტში. ნოველა განიხილება როგორც კულტურული ტექსტი, სადაც ინდივიდუალური გამოცდილება და კულტურული სიმბოლიკა ერთიან მხატვრულ სისტემაში იკვეთება.

კვლევა ეფუძნება ინტერპრეტაციული და კულტუროლოგიური ანალიზის მეთოდებს, ასევე ტექსტის სემიოტიკურ მიდგომას. ანალიზმა აჩვენა, რომ ტექსტში იკვეთება ევროპული ფილოსოფიური ტრადიციის, განსაკუთრებით გერმანული იდეალიზმისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი პარადიგმები, რომლებიც ავტორის პროზაში გადამუშავებულია და წარმოდგენილია ადგილობრივი კულტურული გამოცდილების კონტექსტში. ნოველაში სულიერი სამყაროს ძიება და მისი კრიზისი წარმოჩნდება როგორც ინდივიდუალური და კულტურული თვითშემეცნების ერთ-ერთი ფორმა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „თალხი პერანგი“ შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული თვითრეფლექსიის ტექსტი, სადაც პერსონაჟთა შინაგანი გამოცდილება და გარემო სიმბოლური ნიშნების სისტემაში იკითხება. წარმოდგენილი ანალიზი ქმნის საფუძველს ავტორის სხვა პროზაული ტექსტების კულტუროლოგიური პერსპექტივიდან შემდგომი კვლევისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინგა ბახტაძე, თალხი პერანგი, კულტუროლოგიური ანალიზი, გერმანული იდეალიზმი, კულტურული სიმბოლიკა, თანამედროვე ქართული პროზა.

შესავალი. ევროპული კულტუროლოგიური თეორიების ქართული რეცეფცია და ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართულ პროზაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ მიმართულებას წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხატვრული ტექსტი ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ რეფლექსიას სცდება და ინტელექტუალური დიალოგის სივრცედ ყალიბდება. ამ კონტექსტში ინგა ბახტაძის ნოველა „თალხი პერანგი“ გამორჩეულია იმით, რომ იგი არა მხოლოდ ესთეტიკური ნარატივის, არამედ კულტურული თვითშემეცნების ფორმად წარმოგვიჩენს ლიტერატურას. ტექსტში ევროპული, განსაკუთრებით გერმანული იდეალიზმისთვის დამახასიათებელი სულიერი აბსოლუტის ძიება და მისი ისტორიული კრიზისის გააზრება გადადის ქართულ კულტურულ გამოცდილებაში, სადაც იდეალიზმი ტრაგიკული წინააღმდეგობების ფონზე იკითხება. სწორედ ამ გადაკვეთაში – უნივერსალურ ფილოსოფიურ მოდელებსა და ლოკალურ ისტორიულ რეალობას შორის – იქმნება ის ინტელექტუალური სივრცე, რომელიც „თალხი პერანგს“ კულტუროლოგიური ანალიზის სრულფასოვან ობიექტად აქცევს.

ინგა ბახტაძის პროზა წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, სადაც ევროპული კულტუროლოგიური თეორიები (ჰერმენევტიკა,

სემიოტიკა, ტექსტუალიზმი, ნარატოლოგია, ფენომენოლოგია) ორგანულად ინტეგრირდება ქართულ ინტელექტუალურ და ესეისტურ ტრადიციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგა ბახტაძის შემოქმედება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი. მისი პროზა დღემდე თითქმის არ გამხდარა სპეციალური ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის საგანი, რის გამოც ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მცდელობას ნოველის „თალხი პერანგი“ კულტუროლოგიური ინტერპრეტაციის მიმართულებით.

ავტორი ქმნის ტექსტს, რომელიც აღიქმება არა მხოლოდ როგორც მხატვრული, არამედ როგორც კულტუროლოგიური კვლევა ქართულ და ევროპულ მენტალურ სივრცეებს შორის – რაც ქართულ ლიტერატურაში ისევ დეფიციტური მიმართულებაა.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ნოველა „თალხი პერანგი“ როგორც ევროპული კულტუროლოგიური და ფილოსოფიური იდეალიზმის ქართული ინტერპრეტაციის მაგალითი და გამოავლინოს ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ტექსტში იდეალიზმის კრიზისი ეროვნული კულტურული ცნობიერების პრობლემად გარდაიქმნება. ამგვარი ანალიზი აჩვენებს, რომ ინგა ბახტაძის პროზაში ევროპული თეორიული მოდელები არა დეკლარაციულად, არამედ შემოქმედებითად და კრიტიკულადაა გადააზრებული.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ „თალხი პერანგი“ განიხილება არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი, არამედ კულტუროლოგიური პერსპექტივიდან, როგორც ევროპული იდეალიზმის ლოკალური, ქართული რედაქციის ტექსტი. კვლევა სცდება თემატურ ან ნარატიულ ანალიზს და ყურადღებას ამახვილებს იმ კულტურულ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც იდეალიზმის კრიზისს ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში სპეციფიკურ შინაარსს ანიჭებს. ამ მიდგომით იკვეთება ინგა ბახტაძის პროზის ინტერდისციპლინური პოტენციალი და განისაზღვრება მისი ადგილი თანამედროვე ქართული კულტურული თვითრეფლექსიის პროცესში. წარმოდგენილი ანალიზი ავსებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტუროლოგიაში არსებულ კვლევით სივრცეს და ქმნის საფუძველს ბახტაძის მხატვრული ტექსტების შემდგომი თეორიული გააზრებისთვის.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება ტექსტის ინტერპრეტაციულ და კულტუროლოგიურ ანალიზს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა ლიტერატურული ტექსტი განვიხილოთ არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ კულტურულ კონტექსტში. კვლევის პროცესში გამოყენებულია აგრეთვე ტექსტის სემიოტიკური ანალიზის ელემენტები, რომლის მიხედვითაც ტექსტი განიხილება როგორც კულტურული ნიშნების სისტემა. ამასთან, გამოყენებულია ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაციის მეთოდი, რომელიც მიმართულია ტექსტის თემატური, სიმბოლური და ნარატიული ელემენტების ანალიზისკენ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა ნოველა „თალხი პერანგი“ გაანალიზდეს როგორც მხატვრული ტექსტი, რომელიც ინდივიდუალური გამოცდილების მიღმა კულტურული რეალობისა და სულიერი სამყაროს სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს.

შედეგები და მსჯელობა. ლიტერატურული ტექსტის კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ეფუძნება იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ტექსტი მხოლოდ ესთეტიკური ფენომენი არ არის, არამედ კულტურული მნიშვნელობების მატარებელი სიმბოლური სისტემა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კულტურის ინტერპრეტაციული გაგება, რომელიც ჩამოყალიბებულია კლიფორდ გირცის (Clifford Geertz: 1926-2006) ნაშრომებში. მკვლევრის მიხედვით, კულტურა წარმოადგენს მნიშვნელობათა ქსელს, რომელშიც ადამიანი თვითონვეა

ჩართული, ხოლო ტექსტი ამ ქსელის ერთგვარ ინტერპრეტაციულ ფორმად გვევლინება. შესაბამისად, ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული გამოცდილების სიმბოლური გამოხატულება, რომელიც კონკრეტული ისტორიული და სოციალური კონტექსტის ფარგლებში იკითხება. კლიფორდ გირცის ინტერპრეტაციული ანთროპოლოგიის მიხედვით, კულტურული ტექსტები სიმბოლური მნიშვნელობების მატარებელია და ისინი კონკრეტული საზოგადოების ღირებულებებსა და გამოცდილებას ასახავს (Geertz, 1973). ამ თვალსაზრისით ნოველა „თალხი პერანგი“ შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული გამოცდილების მხატვრული რეპრეზენტაცია, სადაც პერსონაჟთა შინაგანი სამყარო და გარემო სიმბოლური ნიშნების სისტემაში იკითხება.

ტექსტისა და კულტურის ურთიერთმიმართების ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე სემიოტიკურ მიდგომას, რომელიც განვითარებულია იური ლოტმანის (Yuri Lotman: 1922-1993) თეორიაში. ლოტმანის მიხედვით, ლიტერატურული ტექსტი კულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა და იგი სხვადასხვა სიმბოლური კოდის საშუალებით ქმნის მრავალშრიან მნიშვნელობათა სივრცეს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ტექსტის ინტერპრეტაციული პოტენციალიც, რომლის მიხედვითაც ლიტერატურულ ტექსტს ყოველთვის ახასიათებს მნიშვნელობის სიჭარბე და იგი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის (Ricoeur, 1976).

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ტექსტის კულტურულ კონტექსტში გააზრების ტრადიცია დაკავშირებულია ისეთი მკვლევრების ნაშრომებთან, როგორებიც არიან აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი და სხვა, მათი კვლევები ნათლად აჩვენებს, რომ ლიტერატურული ტექსტის სრულყოფილი ინტერპრეტაცია შეუძლებელია მისი კულტურული და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. აკაკი ბაქრაძე (1928-1999) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მწერლობის კულტურულ და საზოგადოებრივ ფუნქციაზე და აღნიშნავს, რომ ლიტერატურა ხშირად გამოხატავს ეპოქის სულიერ მდგომარეობას (ბაქრაძე, 1990). ლიტერატურა მხოლოდ ესთეტიკური მოვლენა არ არის; იგი ადამიანის სულიერი გამოცდილებისა და კულტურული ცნობიერების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს (ბაქრაძე, 1986). გურამ ასათიანის (1937-2002) ხედვით, ტექსტის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ სტილურ-ფორმალური მახასიათებლებით, არამედ იმ ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტით, რომელშიც იგი შეიქმნა. ეს დამოკიდებულება ხაზს უსვამს, რომ ლიტერატურა არის მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური ინსტრუმენტი, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს გაიგოს კონკრეტული დროის საზოგადოებრივი აზროვნება, ღირებულებები და მენტალიტეტი (ასათიანი, 2002). აღნიშნული თეორიული მიდგომები ქმნის საფუძველს ნოველა „თალხი პერანგი“ განვიხილოთ როგორც ტექსტი, რომელიც ინდივიდუალური გამოცდილების მიღმა კულტურული რეალობის სიმბოლურ ასახვასაც ქმნის.

ნოველის სათაური „თალხი პერანგი“ სიმბოლურად გამოხატავს იდეალიზმის კრიზისით დამძიმებულ სულიერ მდგომარეობას, სადაც პერანგი ადამიანის შინაგან კულტურულ ბუნებას აღნიშნავს, ხოლო თალხი ტონი მის ტრაგიკულ ისტორიულ ტრანსფორმაციას. ამდენად, ის უკვე ტექსტის კონცეპტუალურ ცენტრს მიაწინებს და ფუნქციონირებს როგორც სიმბოლური ფორმულა, რომელიც აერთიანებს ნაწარმოების ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ აზრს. სათაურში გაერთიანებული ორი სიტყვა — „თალხი“ და „პერანგი“ — ტექსტში სხვადასხვა სემანტიკურ შრეს ქმნის და საბოლოოდ სულიერი მდგომარეობის მეტაფორად ყალიბდება.

ნოველის შიდა კონტექსტში „თალხი“ არ აღნიშნავს მხოლოდ ფერს, არამედ განწყობასა და კულტურულ ტონს, რომელიც მთელ თხრობას გასდევს. ტექსტში სულიერი იდეალის ძიება მუდმივად ეჯახება ისტორიულ რეალობას, რის შედეგადაც იდეალი

კარგავს თავის ნათელ, ამაღლებულ სახეს და ტრაგიკული გამოცდილების ფონზე „მუქდება“. სწორედ ამ სულიერი დამძიმების განცდას გამოხატავს „თალხი“ — როგორც დაკარგული ნათების, განელეებული იდეალისა და სულიერი დაღლილობის ნიშანი.

მეორე მხრივ, „პერანგი“ ნოველის სიმბოლურ სისტემაში ადამიანის შინაგან ბუნებასთან არის დაკავშირებული. პერანგი, როგორც სხეულთან ყველაზე ახლოს მყოფი სამოსი, ტექსტში იმ შინაგან მდგომარეობას აღნიშნავს, რომელიც ადამიანს ყოველდღიურ არსებობაში ახლავს. ნოველის პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა სწორედ ამგვარ „პერანგად“ წარმოგვიდგება — არა როგორც აბსტრაქტული იდეალი, არამედ როგორც ყოველდღიურ ყოფაში მატერიალიზებული სულიერი ტვირთი.

ტექსტში პერანგის მოტივი დაკავშირებულია იმ განცდასთან, რომ სულიერი იდეალი აღარ არის ზეადმართული და ნათელი, არამედ ისტორიული სინამდვილის პირობებში დამძიმებული და ტრაგიკული სახით არსებობს. ამგვარად, „თალხი პერანგი“ იქცევა ადამიანის სულიერი მდგომარეობის სიმბოლოდ, რომელიც იდეალიზმის კრიზისის პირობებში თავის პირვანდელ ნათებას კარგავს და ისტორიული ყოფის სიმძიმით იმოსება.

სათაური, შესაბამისად, აერთიანებს ნოველის მთავარ ფილოსოფიურ აზრს: სულიერება აღარ არის აბსტრაქტული, უნივერსალური იდეალი, არამედ ისტორიულ რეალობაში ჩართული, ტრაგიკულად დამძიმებული კულტურული მდგომარეობა. „თალხი პერანგი“ ამგვარად წარმოადგენს არა კონკრეტულ საგანს, არამედ იმ სულიერი მდგომარეობის მეტაფორას, რომელიც ევროპული იდეალიზმის კრიზისის ქართულ გამოცდილებაში გარდაიქმნება.

პერსონაჟის სულიერი „მოგზაურობა“ ქმნის იდეალიზმის კრიზისის კულტუროლოგიურ მოდელს. როგორც ზურაბ ხასაია აღნიშნავს წიგნის წინასიტყვაობაში, ეს ქმნილება არის უფრო „მხატვრულ-ფილოსოფიური“ ესე, შეჯამებისა და დასკვნისმგვარი. წმინდა არისტოკრატის, თბილისელი ქალის მიერ ცხოვრების უდაბნოს შემეცნება. უდაბნო ფიზიკურად შუა აზიაშია, მაგრამ ეს ქალის წინათგრძნობაა, მისი სიზმარია (ბახტაძე, 2023:21). ტექსტის დასაწყისში პერსონაჟის ცნობიერებაში ჯერ კიდევ არსებობს სულიერი იდეალის შესაძლებლობა, რომელიც რეალობასთან შეხებისას თანდათან კარგავს ნათელ სახეს. ნოველის ნარატიული სტრუქტურა პერსონაჟის მოგზაურობის ფორმით ვითარდება, თუმცა ეს გზა მხოლოდ გეოგრაფიული გადაადგილება არ არის. იგი წარმოადგენს სულიერი გამოცდილების სივრცეს, სადაც პერსონაჟის ცნობიერებაში თანდათან იშლება იდეალიზმის საწყისი ფორმა და მის ადგილს იკავებს რეალობის ტრაგიკული შეგრძნება. სწორედ ამ გზის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, როგორ იქცევა პერსონაჟის ბიოგრაფიული გამოცდილება იდეალიზმის კრიზისის კულტუროლოგიურ მოდელად. როგორც რევაზ სირაძე აღნიშნავს, მხატვრული ტექსტი ხშირად აერთიანებს ინდივიდუალურ გამოცდილებასა და კულტურულ მეხსიერებას, რის შედეგადაც ლიტერატურა იქცევა სულიერი და კულტურული მნიშვნელობების მატარებელ სივრცედ (სირაძე, 1978). აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია ნოველის „თალხი პერანგი“ გააზრებისას, სადაც პერსონაჟის შინაგანი გამოცდილება და გარემო კულტურული ნიშნების სისტემაში იკითხება.

ტექსტის დასაწყისში პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა ამჟამად რომანტიკული და იდეალისტურია. ნოველის პროლოგი უკვე ქმნის ფილოსოფიურ ფონს, სადაც ხანდაზმულობის სიბრძნე და ახალგაზრდული დაუდევრობის დაპირისპირება იგრძნობა. პერსონაჟი საკუთარი ახალგაზრდობის იმპულსურობას ირონიული თვითშეფასებით იხსენებს და სწორედ ამ „უგნურ ახალგაზრდობას“ უკავშირებს მოგზაურობის დაწყებას — ლატარიაში მოგებული ავტომობილით, რომელსაც „რიჟიკას“ უწოდებენ. ამ ეპიზოდში უკვე ჩანს ირონიული დისტანცია იდეალიზმის მიმართ, რაც პერსონაჟის კომენტარშიც ვლინდება: „განთქმული ჩვენი ოდისეაც მისი რიჟა სხივით გაბრწყინდა და სამუდამოდ შერჩა სახსენებელს“ (ბახტაძე, 2023: 127). ეს ფრაზა ნარატივს უკვე აძლევს ნახევრად

პაროდულ ტონს, რაც მიანიშნებს, რომ პერსონაჟის „ოდისეა“ რეალურად იდეალისა და რეალობის დაპირისპირების სივრცედ იქცევა.

მოგზაურობის საწყის ეტაპზე პერსონაჟის ცნობიერებაში კვლავ ძლიერია რომანტიკული კულტურული წარმოდგენები. ბახჩისარაისა და გირეის ლეგენდასთან დაკავშირებული სივრცის ნახვის სურვილი ბავშვობის ესთეტიკური შთაბეჭდილებიდან იღებს სათავეს — ბაღეტ „ბახჩისარაის შადრევნის“ გავლენით. სწორედ ამ კულტურული იმპულსით იწყება მოგზაურობა „ქერჩის სრუტით ყირიმისკენ სრბოლით“ (ბახტაძე, 2023: 127), რაც პერსონაჟის ცნობიერებაში ჯერ კიდევ მოქმედი რომანტიკული იდეალიზმის ნიშნად შეიძლება გავიაზროთ. ამ ეტაპზე გზა აღიქმება როგორც თავგადასავალი, კულტურული მეხსიერების სივრცეში შესვლის შესაძლებლობა.

თუმცა მოგზაურობის განვითარებასთან ერთად ტექსტში თანდათან ძლიერდება ისტორიული და სოციალური რეალობის კრიტიკული განცდა. პერსონაჟის ცნობიერებაში ერთმანეთს ეჯახება ისტორიული პარადიგმები — დიდი საქართველოს მეხსიერება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ლეკიანობისა და შამილის ეპიზოდები — და თანამედროვე ყოფის პარადოქსული სურათი. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება ნოველაში თალხი ტონი, რომელიც ტექსტის ენობრივ დონეზე იგრძნობა. თანამედროვე ყოფის ირონიული აღწერა — „კაროჩე, ტოო, რა გააჩმახე... პარიზში წადი... მილანში დიღჩე გაბანაში გაიზმანე...“ (ბახტაძე, 2023: 128–129) — გამოხატავს კულტურული სივრცის დეგრადაციას და იდეალის ვულგარულ ჩანაცვლებას. აქ პერსონაჟი უკვე ხედავს განსხვავებას ისტორიულ კულტურულ მეხსიერებასა და თანამედროვე რეალობას შორის.

ამავე კონტექსტში პერსონაჟი კრიტიკულად აფასებს თანამედროვე კულტურულ მდგომარეობას, განსაკუთრებით ლიტერატურას: „ლიტერატურამ მგონი მართლა მოჭამა დრო. ყველა წიგნი დაიწერა, ყველა მუსიკა, ყველა მეტაფორა ამოიღია... ჩვენი სიტყვაკაზმული ქართული... დროის ფარდალალაში გაიჭედა“ (ბახტაძე, 2023: 129–130). ეს ფრაზა უკვე პირდაპირ გამოხატავს კულტურული იდეალიზმის კრიზისს — განცდას, რომ კულტურულმა ფორმებმა საკუთარი შემოქმედებითი ენერჯია დაკარგა.

მოგზაურობის შემდგომ ეტაპებზე ტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ცნობისმოყვარეობის“ მოტივი, რომელსაც პერსონაჟი განმეორებით უბრუნდება. იგი საკუთარ გზას აღწერს, როგორც ცნობისმოყვარეობის ან არსებობის საზრისის მივით განპირობებულ მოძრაობას: „ცნობისმოყვარეობის ჭია იყო ეს თუ საზრისის არსებობისა — ეგზისტენციალებისთვის მინდოდა მეკითხა“ (ბახტაძე, 2023: 142). ამგვარად, მოგზაურობა გადაიქცევა არა უბრალოდ სივრცის ათვისებად, არამედ არსებობის ფილოსოფიურ კითხვად.

უდაბნოს სივრცეში, განსაკუთრებით ყარაყუმის გამოცდილებაში, პერსონაჟი პირველად აწყდება არსებობის მეტაფიზიკურ განზომილებას. უდაბნო ტექსტში აღწერილია როგორც აბსოლუტური სიჩუმის სივრცე, სადაც ადამიანი საკუთარ არსებობას უპირისპირდება. სწორედ აქ ჩნდება ფიქრი არსებობის არსზე — „არსებული ოდენ დღესაა, არა გუშინ და არა ხვალ“ — რაც პერსონაჟს აიძულებს გადააფასოს საკუთარი გამოცდილება და არსებობის მნიშვნელობა. ამ სივრცეში გზა უკვე აღარ არის გეოგრაფიული მოძრაობა; იგი ხდება შინაგანი თვითშემეცნების პროცესი.

ნოველის დასასრულისკენ პერსონაჟის გამოცდილება საბოლოოდ უკავშირდება სათაურის სიმბოლოს. ტექსტში პირდაპირ ფორმულირდება ეს კავშირი: „თალხმა პერანგმა ამ ფიქრებთან მიმამწყვდია დღეს...“. ამ ფრაზაში „თალხი პერანგი“ აღარ არის კონკრეტული საგანი; იგი იქცევა სულიერი მდგომარეობის მეტაფორად, რომელიც პერსონაჟის მიერ გავლილი გამოცდილების შედეგს გამოხატავს. ამგვარად, მოგზაურობა დასრულდება არა იდეალის პოვნით, არამედ მისი ტრაგიკული გარდაქმნის გაცნობიერებით.

ამრიგად, პერსონაჟის გზა ნოველში შეიძლება განვიხილოთ როგორც იდეალიზმის ტრანსფორმაციის პროცესი: რომანტიკული კულტურული იმპულსიდან — ისტორიული რეალობის კრიტიკულ განცდამდე და საბოლოოდ არსებობის მეტაფიზიკურ გააზრებამდე. სწორედ ამ პროცესის სიმბოლური ფორმულაა „თალხი პერანგი“, რომელიც ნოველის ფილოსოფიურ კონცეფციას აერთიანებს და პერსონაჟის სულიერი გამოცდილების საბოლოო ნიშნად გვევლინება.

დასკვნა. ნოველის თალხი პერანგი ანალიზმა აჩვენა, რომ ტექსტი შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ მხატვრული ნარატივის, არამედ კულტუროლოგიური ტექსტის სტატუსითაც. ნოველაში მკაფიოდ იკვეთება ევროპული, განსაკუთრებით გერმანული იდეალიზმისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი პარადიგმები, თუმცა ისინი ავტორის პროზაში გადამუშავებულია და გარდაქმნილია ადგილობრივი კულტურული გამოცდილების შესაბამისად.

კვლევამ ცხადყო, რომ იდეალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური იდეა — სულიერი აბსოლუტის ძიება — ნოველაში წარმოდგენილია უკვე მისი კრიზისის გააზრების კონტექსტში. ტექსტში ეს კონცეფცია კარგავს უნივერსალურ და აბსტრაქტულ ხასიათს და გარდაიქმნება ეროვნული კულტურული გამოცდილების ტრაგიკულ მოდელად, სადაც სულიერება მუდმივად ეჯახება ისტორიულ და სოციალურ რეალობას. აღნიშნული ტრანსფორმაცია არ წარმოადგენს იდეალიზმის უბრალო რეპროდუქციას; პირიქით, იგი ავტორის მიერ განხორციელებული კრიტიკული და შემოქმედებითი ინტერპრეტაციის შედეგია.

ნოველაში იდეალიზმის კრიზისი აღიქმება არა მხოლოდ ფილოსოფიურ კატეგორიად, არამედ ეროვნული ცნობიერების შინაგან წინააღმდეგობათა სიმპტომად. ამ კონტექსტში სულიერი სამყაროს დაუცველობა წარმოდგენილია როგორც კულტურული არსებობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. შესაბამისად, „თალხი პერანგი“ ქმნის ლიტერატურის ფუნქციის ახალ გაგებას — იგი იქცევა კულტურული თვითრეფლექსიის სივრცედ, სადაც ინდივიდუალური გამოცდილება და კოლექტიური კულტურული მემსიერება ერთმანეთთან იკვეთება.

ამ თვალსაზრისით ავტორი — ინგა ბახტაძე — წარმოჩნდება როგორც მწერალი, რომელიც ფილოსოფიურ დისკურსს მხატვრული ნარატივის ფარგლებში გარდაქმნის და ამით მის პროზას ინტერდისციპლინურ მნიშვნელობას ანიჭებს. წარმოდგენილი ანალიზი ქმნის საფუძველს ბახტაძის სხვა ნოველების კულტუროლოგიური პერსპექტივიდან შესწავლისთვისაც.

ამავე დროს, კვლევა მიუთითებს, რომ ავტორის პროზაში შესაძლებელია ევროპული ინტელექტუალური ტრადიციების — მათ შორის ეგზისტენციალიზმის, პესიმიზმისა და დეკადანსის — შემდგომი ანალიზიც. საბოლოოდ, ნოველის განხილვა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართული პროზა აქტიურად ერთვება გლობალურ კულტურულ დიალოგში და ევროპული თეორიული იდეების შემოქმედებითი გადამუშავების გზით ქმნის საკუთარი კულტურული გამოცდილების ორიგინალურ ინტერპრეტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი, გ. (2002). *რჩეული თხზულებანი 4 ტომად*. ტ. 4. უკეთეს დროთათვის. თბილისი: ნეოსტუდია.
- ბაქრაძე, ა. (1986). *სულის ზრდა: კრიტიკული წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ბაქრაძე, ა. (1990). *მწერლობის მოთვინიერება*. დოკუმენტური ნაშრომი. თბილისი: გამომცემლობა „სარანგი“.

- ბახტაძე, ი. (2023). *თალხი პერანგი, ნოველები, ესეები*. თბილისი.
- გობიანი, გ. (2025). ზღვის დამტევი „ჩურჩული“ - იდუმალი სამყაროს შეცნობის გზა (ინგა ბახტაძის „ღამის ჩურჩული“). *ფილოლოგიური კვლევები*. N X, გვ. 402-408.
- გობიანი, გ. (2023). ჰექსამეტრული სურათ-ხატი ლიტერატურაში (ინგა ბახტაძის „თვალთა მიღმა“). *ენა და კულტურა*. N30, გვ. 48-55.
- გობიანი, გ. (2024). ადამიანად ყოფნის ფილოსოფია ინგა ბახტაძის ესეისტიკაში. *ფილოლოგიური კვლევები*. N VIII, გვ. 283-290.
- სირაძე, რ. (1978). *ქართული ლიტერატურის ესთეტიკა*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.
- ჰეგელი, გ. ვ. ფ. (2025). *გონის ფილოსოფია*. (თარგმ. ნ. ნათაძე). თბილისი: Carpe Diem.
- Geertz, C. (1973). *The Interpretation of Cultures*. New York.
- Lotman, Y. (1990). *Universe of the Mind*. London.
- Hegel, G. W. F. (1975). *Aesthetics: Lectures on fine art*. (T. M. Knox, Trans.). Oxford University Press.

REFERENCES

- asatiani, g. (2002). *rcheuli tkhzulebani 4 t'omad [Selected Works in Four Volumes]*. Vol. 4. For Better Times. Tbilisi: Neostudia.
- bakradze, a. (1986). *sulis zrda: k'rit'ik'uli ts'erilebi [The Growth of the Soul: Critical Essays]*. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.
- bakradze, a. (1990). *mts'erlobis motviniereba [The Taming of Literature]*. Documentary work. Tbilisi: Publishing House „Sarangi“.
- bakht'adze, i. (2023). *talkhi p'erangi, novelebi, eseebi [Talaxhi Perangi: Novellas and Essays]*. Tbilisi.
- gobiani, g. (2025). zghvis damt'evi „churchuli“ - idumali samqaros shetsnobis gza (ingა bakht'adzis „ghamis churchuli“) [The Sea-Containing “Whisper”: A Path to Understanding a Mysterious World (On Inga Bakhtadze's *Night Whisper*)]. *philologiuri k'vlvebi [Philological Researches]*. N X, pp. 402-408.
- gobiani, g. (2023). heksamet'ruli surat-khat'i lit'erat'urashi (ingა bakht'adzis „tvalta mighma“) [Hexametric Imagery in Literature (On Inga Bakhtadze's *Beyond the Eyes*)]. *ena da k'ult'ura [Language and Culture]*. N30, pp. 48-55.
- gobiani, g. (2024). adamiანად qopnis pilosopia ingა bakht'adzis eseist'ik'ashi [The Philosophy of Being Human in the Essays of Inga Bakhtadze]. *philologiuri k'vlvebi [Philological Researches]*. N VIII, pp. 283-290.
- siradze, r. (1978). *kartuli lit'erat'uris estet'ik'a*. Tbilisi: Publishing House „Khelovneba“.
- hegeli, g. v. p. (2025). *gonis pilosogia [Phenomenology of Spirit]*. (N. Natadze, Trans.). Tbilisi: Carpe Diem.
- Geertz, C. (1973). *The Interpretation of Cultures*. New York.
- Lotman, Y. (1990). *Universe of the Mind*. London.
- Hegel, G. W. F. (1975). *Aesthetics: Lectures on fine art*. (T. M. Knox, Trans.). Oxford University Press.